# დაგეგმილი ცვლილებები
# მეოთხე კატეგორიის საწარმოთა
# ფინანსური ანგარიშგების სტანდარტში

დისტანციური შეხვედრა

ბუღალტრული აღრიცხვის,
ანგარიშგებისა და აუდიტის
ზედამხედველობის სამსახური

# ანგარიშგების წარდგენა

| წელი | წარდგენილი | არ წარადგინა | % |
|---|---|---|---|
| 2018 | 22 115 | 40 027 | 36 |
| 2019 | 1616 | >60,000 | ~2.5% |

**სარგებელი !**

# პირველად წარსადგენი ანგარიშგება

მეოთხე კატეგორიის საწარმოებმა 2021 წელს უნდა წარადგინონ 2020 წლის ანგარიშგება, რომელსაც თან უნდა ახლდეს შესადარისი ინფორმაცია



# სტანდარტის განყოფილებები - ცვლილება

- 19 განყოფილება
  1. მოქმედების სფერო
  2. დაშვებები და ძირითადი პრინციპები
  3. ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგების წარდგენა
  4. სააღრიცხვო პოლიტიკა, შეფასებები და შეცდომები
  5. ფინანსური ინსტრუმენტები
  6. მარაგები
  7. გრძელვადიანი აქტივები
  8. ბიოლოგიური აქტივები სასოფლო-სამეურნეო საქმიანობაში
  9. არაფინანსური აქტივების გაუფასურება
  10. იჯარა
  11. ანარიცხები, პირობითი ვალდებულებები და პირობითი აქტივები
  12. საკუთარ კაპიტალთან დაკავშირებული ოპერაციები მესაკუთრეებთან
  13. ამონაგები მომხმარებლებთან გაფორმებული ხელშეკრულებებიდან
  14. სახელმწიფო გრანტები
  15. დასაქმებულ პირთა გასამრჯელოები
  16. მოგების გადასახადი
  17. უცხოური ვალუტა
  18. საანგარიშგებო პერიოდის შემდეგი მოვლენები
  19. წინამდებარე სტანდარტზე გადასვლა

# ფინანსური ინსტრუმენტები

## განყოფილება 5 - **ფინანსური ინსტრუმენტები**

### შეფასება თავდაპირველი აღიარებისას

5.6 საწარმომ ფინანსური აქტივი ან ფინანსური ვალდებულება თავდაპირველად აღიარებისას უნდა შეაფასოს თვითღირებულებით, ხოლო თვითღირებულება ფასდება გარიგების ფასით, ~~რომელსაც აკლდება გარიგების დანახარჯები.~~ რომელიც არ მოიცავს გარიგების დანახარჯებს.

~~5.6~~5.7 სტანდარტის მიხედვით საწარმოთა გარიგების დანახარჯები მიჩნეულია არაარსებითად და აღიარდება ხარჯის სახით შემოსავლების, ხარჯებისა და გაუნაწილებელი მოგების ანგარიშგებაში.

# ფინანსური ინსტრუმენტები

განყოფილება 5 - **ფინანსური ინსტრუმენტები**

**შეფასება თავდაპირველი აღიარებისას**

მაგალითი

A საწარმო იღებს სესხს ბანკისგან:
- სესხის აღების (გაცემის) თარიღი - 29/10/2020
- სესხის თანხა - 30,000 ლარი
- სესხის აღების (გაცემის) საკომისიო - 0,5% - 150 ლარი

DEBIT - ფულადი სახსრები - 29,850 ლარი
DEBIT - სხვა ხარჯი - 150 ლარი

CREDIT - ბანკებისგან ნასესხები თანხები - 30,000 ლარი

## განყოფილება 5 - **ფინანსური ინსტრუმენტები**

### გაუფასურება

~~5.13~~5.14 საწარმომ თითოეული საანგარიშგებო პერიოდის ბოლო~~ს~~ თარიღის მდგომარეობით უნდა შეაფასოს, არსებობს თუ არა რომელიმე ფინანსური აქტივის გაუფასურების მტკიცებულება. თუ გაუფასურების ნიშნები არსებობს, საწარმომ ~~უნდა შეაფასოს ფინანსური აქტივის გაუფასურების ზარალის მოცულობა საანგარიშგებო თარიღის მდგომარეობით და მაშინვე აღიაროს გაუფასურების ხარჯის სახით~~ საანგარიშგებო თარიღის მდგომარეობით საიმედოდ უნდა შეაფასოს და განსაზღვროს აქტივის ანაზღაურებადი ღირებულება. თუ ეს ღირებულება ნაკლებია ფინასნური აქტივის საბალანსო ღირებულებაზე, საწარმომ, საანგარიშგებო თარიღის მდგომარეობით, აღნიშნული სხვაობით უნდა შეამციროს აქტივის საბალანსო ღირებულება და ამგვარი გაუფასურების ზარალი, მაშინვე აღიაროს ხარჯის სახით **შემოსავლების, ხარჯებისა და გაუნაწილებელი მოგების ანგარიშგებაში**.

~~5.14~~5.15 საწარმომ უნდა განახორციელოს ადრე აღიარებული გაუფასურების ზარალის შემცირება იმ შემთხვევაში, თუ ადრე გაუფასურებული ფინანსური აქტივის საიმედოდ შეფასებული ანაზღაურებადი ღირებულება გაიზრდება ისეთი მოვლენის შედეგად, რომელიც მოხდა გაუფასურების ზარალის აღიარების შემდეგ. აღდგენილი თანხა მაშინვე უნდა აღიარდეს შემოსავლის სახით **შემოსავლების, ხარჯებისა და გაუნაწილებელი მოგების ანგარიშგებაში**.

**განყოფილება 5 - ფინანსური ინსტრუმენტები**

## გაუფასურება

### მაგალითი

A საწარმოს ყავს დებიტორი (B საწარმო) - 5,000 ლარი - 31/12/2020-ის მდგომარეობით

- A საწარმო 2020 წლის ანგარიშგებას ამზადებს 2021 წლის ივნისში. (ამ შემთხვევაში არ აქვს გადამწყვეტი მნიშვნელობა მომზადების თარიღს)
- პანდემიის გამო B საწარმოს შეექმნა ფინანსური პრობლემები და იმის ალბათობა რომ მან დაფაროს 5,000 ლარი სრულად არის ძალიან დაბალი.
- მოლაპარაკების შედეგად ორი საწარმო შეთანხმდა რომ B საწარმო დაფარავდა მხოლოდ 2,000 ლარს.
- სახეზეა ფინანსური აქტივის გაუფასურება, 3,000 ლარის ოდენობით, რომელიც მაშინვე უნდა აღიარდეს ხარჯად 2020 წლის ანგარიშგებაში.

| | | |
|---|---|---|
| DEBIT | - გაუფასურების ხარჯი - ფინანსური აქტივი | - 3,000 ლარი |
| CREDIT | - სავაჭრო მოთხოვნები | - 3,000 ლარი |

# სტანდარტის ცვლილებები

**ცვლილებების პროექტი განთავსებულია**

- მაცნეზე: https://matsne.gov.ge/document/view/4800797?publication=0
- ჩვენს ოფიციალურ ვებ-გვერდზე: https://www.saras.gov.ge/Content/files/IV_Category_Entity_Standard_Changes_Exposure_Draft.pdf

---

**თქვენი  პოზიციის დასაფიქსირებლად:**

- საგნის ველში მიუთითეთ:
  IV კატეგორიის ფინანსური ანგარიშგების
  სტანდარტი: განყოფილება, მუხლი
- 2020 წლის 30 ოქტომბერი

Info@reportal.ge

# საინფორმაციო რესურსები

- ფინანსური ანგარიშგების სტანდარტები
- აუდიტის საერთაშორისო სტანდარტები
- აუდიტორთა რეესტრი
- პროფესიული განათლების რეესტრი
- სახელმძღვანელოები
- სიახლეები (მათ შორის მითითებები COVID – 19 - თან დაკავშირებით)
- ნორმატიული ბაზა
- ონლაინ ლექსიკონი

SARAS.GOV.GE

- საქართველოში არსებული სუბიექტების ფინანსური და მმართველობის ანგარიშგებები
- სიახლეები
- კვლევის შედეგები

ანგარიშგების პორტალი
REPORTAL.GE

კითხვები?

კომენტარები?